

ადსა-ს გენერალური ასამბლეა ბიდგომში, პოლონეთი



2011 წლის 9 ივლისს, ქ. ბიდგომში, პოლონეთი, ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციის გენერალური ასამბლეა გაიმართა. ადს საქართველოს სახელით მონაწილეობა მიიღო ადს-ს გენერალურმა დირექტორმა ბ-მა იოსებ ხახალიაშვილმა. ადსა-ს წევრების მიერ განხილული და დამტკიცებულ იქნა ასოციაციის ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი.

“პირველი ათი წლის არსებობის მანძილზე მიღწეული წარმატებების შემდეგ ასოციაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადგილობრივი დემოკრატიის მშენებლობისა და საზღვრისპირა თანამშრომლობის განვითარების სფეროში, როგორც ადგილობრივ ისე რეგიონულ დონეზე, არა მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, არამედ, სამხრეთ კავკასიაში და დანარჩენ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან.

მოდით, ნუ დავივიწყებთ ადსა-ს გადამწყვეტ როლს და ხელშეწყობას სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნების ევროკავშირში შესასვლელად, ადგილობრივი ნიადაგის მომზადებას მათი სამომავლო ინტეგრაციისათვის” – განაცხადა თავის მოხსენებაში ევროსაბჭოს კონგრესის პრეზიდენტმა ბ-მა კეით ვიტმორმა.

ადსა და ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოები, დაფუძნებიდან დღემდე, აქტიურად უწყობენ ხელს დემოკრატიას და ადამიანისა და უმცირესობათა უფლებებს დაცვას სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და სამხრეთ კავკასიაში.

“ადსა და ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოები ადგილობრივი თემების დახმარებით ხელს უწყობს მოსახლეობის უკეთესი ცხოვრების შექმნას, რაც მიზნად ისახავს აღნიშნული ქვეყნების მომზადებას ევროკავშირის წევრობის “მოთხოვნების” შესაბამისად” – აღნიშნა ადსა-ს პრეზიდენტმა პერ ვინტერმა. მან ასევე ხაზი გაუსვა ადს საქართველოს როლს კავკასიის მასშტაბით ახალი სააგენტოს გახსნის საქმეში, რაც გულისხმობს, მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში, ადს სომხეთის გახსნას სასომხეთში. მუშაობა მიმდინარეობს აზერბაიჯანშიც იგივე მიმართულებით.

ცოტა ხნის წინ, ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმში ჩართვით ადსა-მ ყურადღება გააძლიერა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე, ასევე, გრძელვადიანი საქმიანობის განვითარებაზე, ხელი შეუწყოს ბელორუსიასა და საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების როლის გაძლიერებას. გარდა ამისა, თანამშრომლობა გაგრძელდება ხმელთაშუა ზღვის სამხრეთით, ევროკავშირის მეზობელ ქვეყნებთან.

ევროპასთან თანამშრომლობის ვალდებულების საფუძველზე, ადსა გახდა ევროკავშირის გამორჩეული პარტნიორი პროგრამის “ევროპის მოქალაქეობა” ფარგლებში, რომელმაც არაერთი პროექტი განახორციელა სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, მოხალისეობის ფორმის გათვალისწინებით.

ადსა განაგრძობს მუშაობას ყველა აღნიშნული საქმიანობის უფრო დახვეწისა და მნიშვნელოვანი მიზნების განხორციელებისათვის.